



## საქართველოს სამოქალაქო სექტორის განცხადება

9 აგვისტო, 2008 წ.

შერატონ მეტეხი პალასი, თბილისი, საქართველო

უკვე მესამე დღეა, რაც ჩვენს ქვეყანაზე რუსეთის მხრიდან ღია და დაუფარავი აგრესია ხორციელდება, იბომბება როგორც საქართველოს ქალაქები და სოფლები და სხვა სამოქალაქო და სამხედრო ობიექტები, ასევე მჭიდროდ დასახლებული პუნქტები. უკიდურესად დამაბულია მდგომარეობა მთელ საქართველოში (მათ შორის სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში), სადაც საომარი მოქმედებები მიმდინარეობს. არის მრავალრიცხოვანი მსხვერპლი და მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი. რუსეთის ფედერაცია ომს აწარმოებს საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რაც კავკასიის ქვეყნების (ხალხების) გარდა სხვა ქვეყნების ჩართვასაც გამოიწვევს.

მდგომარეობის გამწვავების მთავარი მიზეზია რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ წლების განმავლობაში განვითარებული პოლიტიკა, რომელიც მდგომარეობს სეპარატიზმის ღია მხარდაჭერაში, ჩვენი ქვეყნის დისკრედიტაციის, დაშინების და დაქვემდებარების მრავალრიცხოვან მცდელობებში. კონფლიქტის ზონებში რუსეთის მშვიდობისმყოფელისა და შუამავლის საერთაშორისო თანამეგობრობისგან ბოძებულ სტატუსს მეზობელ ხალხებს შორის შუღლის გასაღვივებლად იყენებდა და იყენებს. თავისი ბოლო დღეების ქმედებებით რუსეთის ხელისუფლების რეაქციულმა ძალებმა საკუთარი თვითლუსტრაცია მოახდინეს მსოფლიოს წინაშე. იმის შემდეგ, რაც დღეს საქართველოში ხდება, შეუძლებელია რუსეთს კონფლიქტების მიმართ შუამავლის როლი ჰქონდეს.

ჩვენი ქვეყანა მსოფლიო დემოკრატიულ საზოგადოებას გვერდით ედგა ყველა გამოწვევისას, ეს იქნებოდა: ერაყი, ავღანეთი თუ კოსოვო. ჩვენ, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, როგორც მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოების ნაწილი მოვითხოვთ:

1. ჩვენ დასახმარებლადც გადმოდგას ანალოგიური ნაბიჯი;
2. მსოფლიო დემოკრატიულმა საზოგადოებამ დაგმოს რუსეთის ფედერაციის მხრიდან საერთაშორისო-ჰუმანიტარული სამართლის აღმამფოთელებული დარღვევები;
3. აღიარებულ იქნეს კონფლიქტების მხარედ, ჩამოერთვას მას მშვიდობისმყოფელის სტატუსი და ჩაენაცლოს არამოსაზღვრე ქვეყნები;



- საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მთავრობებმა, მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანმა (მათ შორის, რუსეთში), აიმაღლონ ხმა და გააჩერონ რუსეთის ფედერაციის ინტერვენცია.

ხელმოწერები (გრძელდება):

- მიხეილ კეჭაყმაძე - სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;
- გიორგი ხუციშვილი - კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი;
- ზაქარია ქუცნაშვილი - კანონი ხალხისთვის
- გიორგი ჩხეიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- ირაკლი სესიაშვილი - თავისუფლება და სამართალი;
- აგიტ მირზოევი - მრავალეროვანი საქართველი;
- ირინა ფუტკარაძე, ჯანმრთელი სამყარო;
- ლაშა ჩხარტიშვილი, თანასწორობის ინსტიტუტი;
- გიორგი ხაინდრავა, თანასწორობის ინსტიტუტი;
- ნინო ციხისთავი, კავკასიის ქალთა ქსელი;
- მანანა მებუკე, ომის ინვალიდთა და დაღუპულ მეომართა მეუღლეთა კავშირი;
- მამუკა არეშიძე, კავკასიური კვლევების ინსტიტუტი;
- ბიძინა სავანელი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სწავლების ცენტრი;
- თენგიზ ფხალაძე, გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი;
- ალექსანდრე კუხიანიძე, ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრი